№ 235 ოქტომბერი 31, პარასკევი 1886 ოქტომბერი 31 პარასკევი № 235

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტერიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გენერალ ლეიტენანტი თ-დი ივანე კოსტანტინეს-ძე და თ-დი კოსტანტინე ივანეს-ძე ბაგრატიონ მუხრანსკი, აუწყებენ რა გარდაცვალებას პირველი მეუღლისას და მეორე—დედისას უგანათლებულესის კნეინა ნინო ლევანის ასულის ბაგრატიონ-მუხრანსკისას, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ კვირას, 2-ს ნოემბერს 10-ს საათზედ დილით მცხეთის სობოროში, სადაც მიასვენებენ მიცვალებულს ანდერძის ასაგებად.

რკინის გზაზედ ამ დღისათვის დანიშნულია საგანგებო მატარებელი, რომელიც ტფილისიდამ გავა 9-ს საათსა და 10-ს წამზედ და მცხეთიდამ დაბრუნდება უკან 4-ს საათზედ და 30-ს წამზედ.

ტფილისი, 30 ოქტომბერი

რამოდენა შეუძლიან ჩვენს ქვეყანას ან ხილი მოიყვანოს, ან ღვინო დააყენოს, რამოდენა ადგილი უჭირავს ხილნარსა და ვენახებსა, რამოდენაა შესაძლო, რომ კვლავ დაიჭიროს სავენახე და სახილნარე ადგილები, რა ადგილი უფრო რის მომცემია, სად რა სიკეთის ხილი და ღვინო მოდის—ამაებისა ჩვენ თვითონ ძალიან ცოტა რამ ვიცით და იმათ, რომელთაც ამ მხრით შველა ჰსურთ ქვეყნისა, ხომ სრულებით არა იციან-რა. აი, მაგალითად, ერთი გაზეთი, რომელიც ამ საგანზედ ჰლაპარაკობს, რა ცოდნით გამოდის მოედანზედ:

„იმ ხილნარების გარდა, რომელნიც მთელს რუსეთში მოფენილია და რომელნიც მარტო ვაშლსა და ალუბალს იძლევიან, ჩვენა გვაქვს კავკასია და კავკასიაში იმისთანა დალოცვილი ადგილებია, როგორც რიონის ვაკე, საცა ყოველგვარი ხეხილი ჰხეირობს და საცა მარტო ყურძენი 4,472,000 ფუთი მოდის ყოველ წლივ.“

ჩვენ არ უარ-ვყოფთ, რომ რიონის ვაკე მშვენიერს ხილსა და ბლომად ყურძენს იძლევა, მაგრამ გაზეთმა, რომელიც შეჰხებია ამისთანა საყურადღებო საგანს, როგორ არ უნდა იცოდეს, რომ დიდ-ძალი ხილი ქართლშიაც მოდის, დიდ-ძალი ვენახები ქართლშიაც არის; რომ ერთისა და მეორისათვისაც კახეთი ერთს მართლა და ღვთისაგან დალოცვილს ადგილს წარმოადგენს; რომ ზაქათალის მაზრა, ნუხა, განჯა, ერევანი, ყოველივე ესენი, კარგი ხილნარით და სავენახე ადგილებით და დღესაც ბლომად იძლევა ხილსა და ღვინოსა. ქართლი, კახეთი და ეს ჩვენგან ჩამოთვლილი ადგილები სწორედ ულეველი ბოღაზია ხილისა და ღვინისა და პატივცემულს გაზეთს კი ჰგონებია, რომ ამიერ კავკასიაში მარტო რიონის ვაკეა იმისთანა, საცა ხილი და ყურძენი მოდის. იქნება იფიქროს ვინმე, რომ ხსენებულს გაზეთს ეგ უცოდინარობის გამო კი არ მოსვლია, არამედ იმით, რომ სურვებია მოკლედ ეთქვა სიტყვა და მაგალითად მარტო რიონის ვაკე მოუყვანია. არა, ბატონებო, შემდეგ იმისა, რაც ზემოდ ამოვსწერეთ გაზეთი სიტყვას აგძელებს ამავე საგანზედ და აი რას ამბობს:

„ჩვენა გვაქვს ბესსარაბია, რომელსაც ზედ-ებმის ზოგიერთი მაზრა ხერსონისა და პოდოლის გუბერნიებისა, საცა ჯერ კიდევ 1873 წელსა ვენახებს ეჭირათ 28,230 დესეტინა თვით ბესსარაბიაში და 1,500 ხერსონისა და პოდოლის გუბერნიების მაზრებში.“

თუ სადმე ხილნარისა და ვენახების გამო ბესსარაბია და თითო-ოროლა ადგილი ხერსონისა და პოდოლის გუბერნიებისა იხსენება, იქ როგორ არ უნდა იხსენიებოდეს ქართლი, კახეთი, თითქმის მთელი იმერეთი, ზაქათალა, ნუხა, განჯა, ერევანი და სხვანი, თუ კი ცოდნა იყო სადმე!.. ეგ სწორედ იმას ჰგავს, რაც კრილოვის ზღაპარშია: კაცს წვრილი კოდოები კი დაენახა და მათ შორის მყოფს სპილოზედ კი სთქვა: თვალი ვერ მოვკარიო.

ქვეყნის წარმატებისათვის მარტო ცარიელი სურვილი უქმი თამასუქია. ამიტომაც ბევრი რამ დაწყებულა ქვეყნის საკეთილოდ, მაგრამ უქმად ჩაუვლია და ქვეყანასაც გული გასტეხია და ნდობა დაჰკარგვია ყოველის ახალის დაწყებულების მიმართ. ხშირად და ძალიან ხშირადაც ასეთი ბოლოგაუტანლებლობა, ასეთი მარცხი საკეთილოდ მოგონილის ღონისძიებისა თვითონ მკვიდრთათვის დაუბრალებიათ, არ ესმით სიკეთეო, ყოველს ახალს ეურჩებიან, ბრიყვი ხალხიაო და სხვა ამისთანა ტყუილი მიზეზები მოჰყავთ და გამგონიც იჯერებს. იმის გამომძიებელი და მთქმელი კი აღარავინ არის, რომ აქ ხალხი არასფერს ბრალშია; რომ მარცხის მიზეზი თვითონ საქმეშია, რომელიც მარტო ცარიელს სურვილზეა აგებული და მოკლებულია საჭირო ცოდნას ადგილის ვითარებისას, ურომლისოდაც კეთილი სურვილიც კი ფეხს და ხელს ისე ვერ გაანძრევს, რომ არ შესცდეს და გზაკვალი არ აერიოს.

ესეა თუ ისე, მთავრობას შეუმჩნევია, რომ ყველგან რუსეთში ხილნარობას და ვენახობას უკან დაუწევია, ხილს მეტად მოჰკლებია როგორც ბარაქიანობა, ისეც სიკეთე და ღირსება. სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ბ-ნს ასტროვსკის განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევია ამ ამბისათვის და შესდგომია, ღონის-ძიება რამ მოიპოვოს ამ მხრით სასოფლო მეურნეობის გახალისებისა და განკარგებისათვის. ღონისძიება, რომელიც ბ-ნს მინისტრს მოუპოვებია, იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ბევრს ადგილას რუსეთში გაიმართოს სკოლები სასწავლებლად ხილნარობისა და ვენახობისა. ამის გამო დეპარტამენტს მიწათ-მოქმედებისას და სასოფლო მრეწველობისას მან მიანდო შეადგინოს პროექტი საყოველთაო კანონ-დებულებისა და პროგრამებისა ამ სკოლებისათვის. ამ წლის იანვარში უკვე გამოცხადებულ იქმნა, რომ სამეცნიერო კამიტეტს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროისას მოუწონია იგი პროგრამები მხოლოდ შესახებ სასპეციალო საგნებისა. რაც შეეხება საზოგადო განათლების საგნებსა, ბ-ნს მინისტრს საჭიროდ დაუნახავს შეიტანოს ამ სკოლებში პროგრამმა, უმაღლესად დამტკიცებულის ნორმალურის წესდებისა, რომელიც უკვე მოქმედებს სასოფლო მეურნეობის დაბალ სკოლებისათვის. [illegible] ზრახულის სკოლებში მოსამზადებელი კლასები იქნება, საცა წერა-კითხვის არ-მცოდნენი მიიღებიან,

ფელეტონი

ცოდვა სიყვარულისა

რომანი პოლ ბურჟესი

(შემდეგი*)

ელენე უპირ-ბადოდ იყო. არმანმა მაშინვე შეატყო, რა ნაირი გამხდარი სახე ჰქონდა. შეამჩნია აგრეთვე, რომ თვალები ჩაშავებოდა, თვალის კაკლები უბრწყინავდა და გაშტერებოდა, რომ ტუჩები მწარედა ჰქონდა მოკუმული. არმანმა სავარძელი მიუდგა ქალს.

— ნუ სწუხდებით, სთქვა ელენემ; მე ბევრს დროს არ წაგართმევთ. ის, რაც მე თქვენ უნდა გითხრათ, ცოტა რამ არის.

— ‹კიდევ აყალ-მაყალი,› სთქვა გულში არმანმა. ეს კი, მგონია, უკანასკნელი იყოს. „ბოლოს დროს არმანი ისე სცხოვრობდა, რომ სრულიად არავითარი სურვილი არა ჰქონდა ხორცის დატკბობისა. ამიტომ არმანი მეტად გულ-ცივი და გულმშრალი იყო იმ დღეს. დიდი შეცდომა იყო ჩემის მხრითაო, ამბობდა არმანი გულში, რომ მე არ ვუთხარი მოსამსახურეს, შინ არა ვარო. რაკი მეტი ღონე აღარ იყო, მაშინვე გარდასწყვიტა, რომ არავითარს დაწვრილებულს ლაპარაკს არ მოეუყვებიო და მხოლოდ ისე მოვექცევი, როგორც მოითხოვს ზრდილობაო. „ღვთის-წინაშე, მრცხვენიანო, უთხრა არმანმა ელენეს ისეთის კილოთი, თითქო მათ შორის თავის დღეში არა ყოფილიყო-რა, გარდა ცალიერის ოფიციალურის ნაცნობობისა,—ძრიელ მრცხვენიანო; ჩემი ვალი იყო შემოვსულიყავ თქვენსა და მენახეთ, რაკი დავბრუნდი პარიჟშიო... მაგრამ ათასი წვრიმალი, იწა-ბაწა საქმეები მქონდა და ვერ მოვახერხე... ხომ მოგეხსენებათ... წასვლას ვაპირებ... ამ თთვის გასულს მე ვფიქრობ, რომ ლონდონში ვიქნები...“

— ნუ სწუხართ, გეთაყვა და ნუ იხდით ბოდიშსა,—გააწყვეტინა ელენემ ლაპარაკი,—რა საჭიროა, ერთი მიბრძანეთ? განა რისთვის უნდა შემოგვარნათ ჩვენსა? იმისთვის, რომ მე დაგეფარნეთ და ჩემი სახელი არ გაგეტეხნათ... მე განთავისუფლებთ მაგ ზრდილობიანის საქციელისაგან. ან იქნება იმისთვის გინდოდათ შემოსულიყავით, რომ განმეორებით გეთქვათ ჩემთვის, არ მიყვარხართო, არასოდეს არა მყვარებიხართო? და მერე გეცქირნათ, როგორ უნდა მეტანჯნა? რა ამბავია, ღმერთი აღარა გაქვთ? კაცი არა ხართ? ყოველივე, რაც სათქმელი გქონდათ, —ხომ მითხარით. ნუ გეშინიანთ, —დაუმატა მან მწარის ღიმილითა,—მე აქ იმიტომ არ მოვსულვარ, რომ ხელ მეორედ განვიმეოროთ ჩვენი უკანასკნელი ლაპარაკი...

ელენე შესდგა, თითქო იმ სიტყვებმა, რომელიც უნდა წამოეთქვა, ცეცხლი წაუკიდეს კიდეც იმის ტუჩებსაო, იმ ტუჩებს, რომელიც გაშრნენ იმდენის გულის ჩქროლვითა და ციებ-ცხელებით გათენებულის ღამეებისაგან. ელენე ლაპარაკობდა ისეთის სიდინჯითა და სიმკაცრითა, რომ არმანი ცოტა არ იყოს შეშფოთდა. იმას ეგონა, რომ თავ-დანებებული საყვარელი ტირილს დაიწყობს და ალგზნებულის სიტყვებით დამიწყობს ვედრებას, მხოლოდ ერთი, ერთი დღე კიდევ გამომაელევინე უწინდელის ბედნიერებისაო; ხოლო ელენე ისეთის კილოთი ლაპარაკობდა, როგორის კილოთიც ლაპარაკობენ მაშინ, როცა დიდი რამ ამბავი ჰსურთ შეატყობინონ, ისეთი ამბავი, რომელსაც დიდსა და საბედისწერო მნიშვნელობას აძლევენ. იქნება იმიტომ მოვიდაო, გაიფიქრა არმანმა, რომ მითხრას, ორსულადა ვარო? ან იქნება, განწირულების ჟამს ყოველივე დაუფარავად უამბო თავის ქმარს და ახლა უნდა მე შემატყობინოს ესაო? ელენე გაჩუმდა. ახლა არმანის რიგი მოვიდა, მოუთმენელი შექმნილიყო.

— განაგრძეთ,—სთქვა მან. მე ყურს გიგდებთ.

— უკანასკნელის ჩვენის ლაპარაკის დროს, რომელსაც, ვიმეორებ, აღარ განვაახლებ — დაიწყო ელენემ ,— თქვენ მითხარით, რომ მე ვიცი შენი ცხოვრებაო. თქვენ დაასახელეთ კიდეც ერთი კაცი... ბ-ნი ვარადი და ამტკიცებდით, რომ ვითომ ეს კაცი ჩემი საყვარელი ყოფილიყოს...

— მე მხოლოდ ის გითხარით, რომ მე ეგრე მითხრეს,—სთქვა არმანმა.

— და რომ თქვენ გჯერათ ეგა, არა? ჰკითხა ელენემ.

— ესე იგი, მჯერა იმდენად, რამდენადაც სჯერათ მაგ ნაირი ამბები... თქვენ კარგად ვერ გაგიგონიათ ჩემი სიტყვები, ან იქნება მე ისე ვერ გამოვსთქვი ჩემი აზრი, როგორც რიგი იყო... ამ დროს არმანმა ასე გაიფიქრა: „ელენე ამოიღებს ეხლა უთუოდ ჯიბიდამ და მაჩვენებს რომელსამე დიდის მართებულობითა და ზრდილობით დაწერილს წერილსაო...“ არმანს მოაგონდა, რომ თვითონაც არა ერთხელ მიუწერია თავის წინანდელის საყვარლებისათვის ამ გვარი წერილები იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა საჭირო იქნებოდა, რომ ეჩვენებინა ის წერილები, ვისთვისაც ჯერ იყო... „უგნური ლაპარაკი გვაქვს, სთქვა არმანმა გულში,—მაგრამ რას იზამ, როგორ აიცილებ თავიდამ?..“

— მაშ მოისმინეთ:—სთქვა ელენემ მეტის რიხითა და კადნიერებით,—თუ ეხლა გეტყვისთ ვინმე მაგას, თქვენ შეგიძლიანთ დაუჯეროთ და უპასუხოთ, რომ ეგ ამბავი თქვენც იცით ნამდვილადა და დაბეჯითებით. „დიაღ, მე საყვარელი ვარ ბ-ნის ვარადისა“,— დაუმატა ელენემ და დაუწყო ცქერა არმანს, თან სახე-გაპრწყინებულმა და თან სახე-განწირულმა. „გესმით-მეთქი თუ არა? მე საყვარელი ვარ ბ-ნის ვარადისა...“ სთქვა ელენემ განმეორებით.

არმანი ისმენდა ამ ლაპარაკს, რომლითაც ასე ირცხვენდა თავის თავს ელენე და გულს შემოაწვა უფრო მძიმე გრძნობა, ვიდრე დარდი და ნაღველი. არმანს ეგონა, რომ მეტად დიდი უგუნურებაა და უაზრობა, რომ ელენე მოვიდა და მეუბნება, კვლავ დაიჭირე საქმე ჩემს ძველს საყვარელთანაო. უთუოდ ასე იმიტომ იქცევა, რომ ახირებული რამ სურვილი აქვს რომელიმე ძრიელი გრძნობა და დრამა გამოიაროსო. მეორეს მხრით, პირველში რომ იჭვიანობდა არმანი, მაშინ ისე ნამდვილად არ იყო დარწმუნებული, რომ ელენესა და ვარადს შუა ცოდვა რამ იყო მომხდარი და ამიტომ, რაკი ეხლა ელენე მივიდა მასთან და ესე ურცხვად ბრალსა სდებდა თავის თავსა, არმანი აიყოლია დაბალის თვისების იჭვმა და ძალა-უნებურის სიმკაცრით წარმოსთქვა:

— თქვენ სრული თავისუფალი ბრძანდებით... ეგ რა ჩემი საქმეა?.. თუ კი...—დაუმატა მან შეუბრალებელის გულ-ცივობით,—თუ კი მე ვერას მოგეშველებით და ვერაფრით ვერ განუგეშებთ...

— ნუ ოხუნჯობთ და მასხარობაში ნუ იწურთვნით თავს, სთქვა ელენემ უფრო მეტის სიანჩხლით.—თქვენ

---

*) იხ. „ივერია“ № 229.

ამიტომ სასპეციალო კლასებში შესვლა მარტო იმათ შეეძლებათ, ვინც საზოგადო განათლების სავნებში საკმაო ცოდნას გამოიჩენს იმ ზომით, რა ზომაც დადებულია პირველ-დაწყებითს საერო სკოლებისათვის.

ამავე დროს, როცა ესენი გამოცხადებულ იყვნენ, ხმა გავარდა, რომ ერთის უმაღლესის სასწავლებელის გამართვაც უნდათ ხილნარობისა და ღვინის კეთების სწავლებისათვისაო. ჯერ სდომებიათ თურმე ამისთანა სკოლა პეტერბურგის საბოტანიკო ბაღთან ერთად შეერთებინათ-და მერე კი მოსკოვის მიწათ-მოქმედების აკადემია ამჯობინეს და ამაზედ დასდგნენო. ჩვენ არა გვჯერა ეს უკანასკნელი ამბავი, იმიტომ რომ ეს უმაღლესი სკოლა ხილნარობისა და ღვინის კეთებისა ნუ თუ იქ უფრო იხეირებს, საცა არც ხილი მოდის და არც ღვინო!...

ახალი ამბავი

*** 9 ნოემბერს, როგორც უნდა ახსოვდეთ ჩვენს მკითხველებს, დაიწყობა საქალაქო არჩევანები ტფილისში.

*** ყოველთვის, როცა-კი ტფილისში წვიმებია, ისეთი ტალახი არსად არა სდგება როგორც კუკიაში. კუკიის თითქმის ყველა ქუჩები ტალახისა და წუმპეებისაგან გაუვალია ხოლმე. ამ დროს თვით უმთავრესი ქუჩა კუკიისა, რომელსაც მიხეილის ქუჩას ეძახიან, სავსეა ხოლმე წუმპეთი და ტალახით. რაიცა შეეხება იმ ნაწილს კუკიისას, რომელიც ავჭალის ქუჩის ზემოდ არის გაშენებული, იქ ხომ არამც თუ ფეხით, ფაეტონითაც ვერ გაატანთ ტალახსა და წუმპეებს. საქალაქო გამგეობა ამ ნაწილს, ეტყობა, ძალიან ნაკლებად აქცევს ყურადღებას. თითქმის მესამედი ამ ქუჩებისა ქვა-დაფენილი არ არის და არც ლორღი და ქვიშა აქვს მოყრილი.

*** შორაპნის მაზრიდგან გვწერენ, რომ ჩვენში ერთი მკითხავი ქერივი ქალი ჩამოსახლდა და ლამის სულ აურ-დაურიოს ის სოფელი, საცა ბინა მოიკიდაო. ქმრები ცოლებს გადაჰკიდა ამ დედაკაცმა და ცოლები კიდევ ქმრებსაო. ზოგს ეუბნება, შენ ერთის თვის სიცოცხლე-ღა დაგრჩენიაო. ისიც, ვისაც ამას ეუბნება იჯერებს ამ მატყუარას სიტყვებს, ჯავრსა და ნაღველს ეძლევა, მუშაობაზე ხელს იღებს და სნეულდებაო.

*** კერძოდ გვაცნობეს, რომ 28 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე კირპიჩნი ქუჩაზე ედიშერ ჭიაურელის საწერიმალო დუქანში შეიპარნენ ქურდები, გამოიტანეს დახლი და წაიღესო. დახლში იყო ერთი თუმანი ფულად და სამის თუმნის ბარათები და თამასუქებიო.

*** ამას წინად, გაზ. «ნოვ. ობ.»-ეს სიტყვით, პოლიციას დაუტუსაღებია ლეიბ კაცი, რომელსაც დიდხანს უცხოვრია ტფილისში ყალბის ქაღალდით და ამ ყალბის ქაღალდის შემწეობითვე აუცილებია თავიდამ სამხედრო ბეგარა. ლეიბ კაცს რაღაზედაც ლაპარაკი მოსვლია თავის ძმასთან, პეტრესთან და უკანასკნელს დაუბეზღებია, ყალბის ქაღალდითა სცხოვრობსო. ლეიბ კაცი „ეტაპით“ გაუგზავნიათ ვილნაში.

*** ამავე გაზეთის სიტყვით, ქართველ მეპურეებს თხოვნა შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში, რომ პურზედ ისეთივე ნიხრი დაჰნიშნეთ, როგორიც ადრე იყოო, ე. ი. თორნის პურს ფასი მოუმატეთო. შეუჩვლიათ, რომ თორნის პური ძნელი გამოსაცხობია ფურნისაზეო. ამას გარდა, მეპურეებს ისიც უთქვამთ, რომ ფქვილი ძალიან ცოტა მოაქვსთ მეიდანზედ და მოტანილის უმეტესს ნაწილსაც ჩარჩები ადრევე გვასწრობენ და ყიდულობენო.

*** ამ დღეებში მე 3 ნაწილის პოლიციას დაუტუსაღებია მთელი ბრბო ავაზაკებისა რომელნიც უბრალო, საწერ ქაღალდს ფულად ასაღებდნენ თურმე. ერთი ამ ბრბოს აგენტი მისულა ტფილისში მცხოვრებელ ვაჭართ იაკობაშვილთან და მოსეშვილთან და უთქვამს, რომ ყალბი ფული არის ერთს ალაგას და თუ გინდათ იყიდეთო. ესენი დათანხმებულან და უთქვამთ, რომ დაგვინიშნე ალაგი და ჩვენ ვიყიდითო. სავაჭრო ალაგად სასტუმრო «საქართველო» დაუნიშნავთ. ამ სასტუმროში იაკობაშვილი და მოსეშვილი გასცნობიან ვიღაცეებს და იმათ უთქვამთ, რომ ყალბის ფულის პატრონი ქუჩაში გველისო. ვაჭრები გასულან კარზედ, მიუციათ ყალბის ფულის პატრონისთვის ხუთი თუმანი და გამოურთმევიათ შვიდი სქელი დასტა ვითომ და მანათიანებისა. ყალბის ფულების გამსყიდველს უთქვამს, რომ თითო დასტაში ასი თითო მანათიანიო, და მაშინვე სადღაც გაქცეულა. ამ ვაჭრებს სასტუმროში მყოფი ავაზაკები გამოსდგომიან და ყალბის ფულის წართმევა სდომებიათ, ვაჭრებს ყვირილი დაუწყვიათ და ერთი ავაზაკთაგანი იაკობაშვილს ხანჯლით დაუჭრია კიდეც. რის წვალებითა და ვაი-ვაგლახით განთავისუფლებული ვაჭრები მისულან შინა და ყალბის ფულის განაწილება მოუნდომებიათ. უნახავთ, რომ ფულის დასტა ფულის მაგივრად თეთრი ქაღალდი ყოფილა, მანათიანის ტოლად დაჭრილი და ზემოდამ და ქვემოდამ თითო მართალი მანათიანი ჰქონია ამოდებული. ეს ამბავი მოტყუებულ ვაჭრებს მაშინვე პოლიციისთვის შეუტყობინებიათ. პოლიციას მათის ჩვენებით უმეტესი ნაწილი ავაზაკებისა დაუტუსაღებია და გამომძიებლისთვის გარდაუცია. ამ ვაჭაბატონებს იმითი უმართლებიათ თავი, რომ მთვრალები ვიყავით და არაფერი არ გვახსოვსო. უფროსი ავაზაკი, ფულების გამსაღებელი ვერ დაუჭერიათ. (გაზ. „ნოვ. ობოზ.“)

*** ერთი რუსული გაზეთი სწერს, რომ ახალი არსენალის ქუჩა სამწუხარო მდგომარეობაშიაო. ამ ქუჩის ორსავე მხრივ მშვენიერი სახლებია აშენებული და თვით ქუჩაზედ-კი ჯერ-ჯერობით ქვას არა ჰფენენ და ასეთი ტალახია, რომ მეეტლეები უარს ამბობენ, მაგ ქუჩაზე ვერ გავატარებთ ეტლსაო და ქვეითი კაცი ხომ ყელამდის ტალახში ჩაიფლობაო.

*** 29 ოქტომბერს, მე-9 ნაწილში საქალაქო საავად-მყოფოში მყოფი შეგირდი სასტატო ინსტიტუტისა გაბრიელ დემიდოვი, 10 წლისა, გაუფრთხილებლობის გამო ჩავარდა სარდაფში და მოკვდა. გამოძიება სწარმოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაკვირდი,

ბიწი თვით უმშვენიერესს სახესაც ამახინჯებს. (სტობე)

**

ადამიანი უძირო ორმოა ყოველ-გვარის უმადურებისა. (მასსილიონი)

**

ადამიანი მოქმედებისათვის არის გაჩენილი; მოუქმედარად ყოფნა წინა-დღეთი სიკვდილია. (ბუასტი)

**

გული რა იგრძნობს სიყვარულს,
სიცოცხლეც მაშინ აჰყვავდეს.
(გრ. ორბელიანი)

**

... იდუმალ, მაგრამ ძლიერად
დაიტანჯების მარად მიჯნური,
თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა
ტრფიალებისა ცეცხლი ციური.
(ნიკ. ბარათაშვილი)

**

მდიდარი ეგრეთ ძნელ ცხონდეს,
ეგოდენ შესაწირითა,
ვით ერთი მწირი მკვეხლი
ედემს ზის ორის მწვლილითა.
(დ. გურამიშვილი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. საქარა. ს. საქარა მდებარეობს ყვირილიდამ აღმოსავლეთ ჩრდილოეთისაკენ, ასე სამის ვერსის სიშორეზე; ეს სოფელი განიყოფება ორს ნაწილად; პირველ ნაწილს უწოდებენ ქვედა-საქარას, ხოლო მეორეს-ზედა-საქარას. ამ სოფელს მამულები კარგი აქვს. უხვად მოდის სიმინდი, პური, ღვინო, ქერი და სხვ. ყველაზე უფრო უხვი მოსავალი იცის ღვინომ.

[illegible] ჩემი ლაპარაკი. ამაზედ მცირეს რას მოგთხოვთ ის დედაკაცი, რომელსაც თქვენ სამარე გაუთხარეთ. დიაღ, უნდა მოისმინოთ-მეთქი, იმიტომ რომ თქვენ დამღუპეთ, თქვენ გამომჭერით ყელი. მე მინდა, რომ თქვენ შეიტყოთ და შეიგნოთ ესა. ჰო, თქვენ-კი გეგონათ განა, რომ ვითომ მე ვკვეხულობდი, თავს ვიწონებდი მეცა და გაწონებდით თქვენც, როცა გეუბნებოდით, რომ თქვენს გარდა, მე საყვარელი არა მყოლია მეთქი? დამიჯერებთ ახლა თუ არა, როცა გეუბნებით, გეუბნევით ერთისა და იგივე სიტყვებით, რომ დღეს მე საყვარელი ვარ ბ-ნის ვარადისა და რომ წინად-კი არა ვყოფილვარ? მე ის მოვძებნე, ვიპოვე და მივეც ჩემი თავი სათრეველად... ნუ მკითხავთ, რად მოვიქეცი ასე, მოვიქეცი ასე და გავათავე კიდეც. ხომ ჰხედავთ, რომ არა ვსცდილობ, კომედია გეთამაშოთ და განგებ თვალები აგიხვიოთ; ხომ ჰხედავთ, რომ არც თქვენის წყრომისა და ზიზღისა მეშინიან და ხომ იმასაც ჰხედავთ, რომ იმიტომ არ მოვსულვარ, განვაახლო ის, რაც იყო ჩვენ შორის... ხოლო მე რომ უმწიკვლო ვიყავ მაშინ, როცა თქვენ მოგეცათ ჩემი თავი, რომ მე მაშინ სინიდისი წმინდა მქონდა, რომ თქვენთვის ვინახავდი ჩემს თავს, თითქო ვიცოდი, თქვენ შეგხვდებოდით ოდესმე,—ეს ისევე მართალია, როგორც ისა, რომ დღეს მე თავზედ ლაფ-დასხმული ვარ, დამცირებული, შემწიკვლული, ნამუს-ახდილი... დიაღ, მე მსურს, რომ თქვენ ეს იცოდეთ! იმ ქალს, რომელიც ასეთს მსჯავრსა სდებს თავის თავსა და ასე განიკითხავს, რაღა აქვს დასაფარი და დასაცველი? ასე არ არის? მაშ რაღათ ვიტყუებ ეხლა თქვენთან? მითხარით, რაღათა და რიღასთვის? თქვენ ძალა-უნებურად უნდა დაიჯეროთ ჩემი ლაპარაკი და ასე უნდა უთხრათ თქვენს თავსა: მე ვიყავ პირველი მისი სიყვარული-თქო, დამეთანხმა და დამყვა, იმიტომ-რომ ვუყვარდი, ვუყვარდი ისე, როგორც-კი მენატრებოდა... გულითა და სულითა, არა მარტო მაშინ, როცა გავიცანი, არამედ მაშინაც-კი, როცა არ ვიცნობდი-თქო; და ის დედაკაცი, რომელსაც ასე ვუყვარდი—აი რა დღემდე მივიყვანე-თქო: ის დედაკაცი ისეთს პირუტყვად გადაქცეულა, რომელსაც აღარა სწამსა-რა, აღარასა სცემს პატივსა, რომელმაც ახალი საყვარელი გაიჩინა სულელურის აჩემების გამო და გაიჩენს კიდევ მეორესაც, მესამესაც... ერთის სიტყვით, —ნამუს-დაკარგულ, ავის ზნის ადამიანადა-თქო! დიაღ, ერთხელ კიდევ გეტყვით, თქვენ ჩასდექით ჩემს ცოდოში, თქვენ გამომჭერით ყელი, თქვენ გამითხარეთ საფლავი და მე მინდა, მსურს, გესმით-თუ არა, მსურს-მეთქი, რომ თქვენ ეს იცოდეთ, არ ეჭვობდეთ, რომ ეს მართალია და აი ეს იქნება ჩემი შურის ძიება. დავიქეცი! დავნელდი! თქვენ დამაწელეთ, თქვენ, თქვენ, თქვენ!...

ელენე ამბობდა ამ სიტყვებს და სული ყელში ებჯინებოდა, თან-და-თან ახლო-ახლო მიიწევდა არმანთან და ბოლოს ისე გაბოროტდა, რომ პირი-სახე გაუმრუდდა. კილოც მისი ლაპარაკისა, სახეცა და მთელი მისი არსებაცა დიდის ძლიერებით ამტკიცებდა მის სიმართლეს, ისეთს ძლევა-მოსილს სიმართლეს, რომლის წინააღმდეგ ეჭვიანობა ამაოდ ეცდებოდა შებრძოლებას ის საშინელი საბუთი ელენეს სიწმინდისა წარსულში, რომელიც დამყარებული იყო დღევანდელის მისის გაწბილების ურცხვს აღსარებაზედ, შეურყეველ საბუთად გადაიქცა, რაკი მთელი მისი არსება ატაცებული იყო და რაკი ამ ატაცების გამო ველარ შეიძლო და ვერც ერთი თავისი აზრი ველარ დაჰფარა და ველარ დამალა. მაგრამ ყველაზედ უფრო სათვალ-და-თვალო და ეჭვ-აუღებელი იმან გაჰხადა ეს საბუთი არმანის თვალში, რომ ელენე სრულიად უეცრად შეიცვალა, რაკი გაათავა თავისი ლაპარაკი. გაშეშებული არმანი შიშითა და ძრწოლით ისმენდა ამ საუბედურო აღსარებას. როცა ელენემ გაბოროტებული გული იჯერა ამ გვარის ფრენეტიულის ლაპარაკითა, მაშინ გაბოროტებამ უეცრივ ადგილი განწირულებას დაუთმო. ელენემ შეჰხედა არმანს, თვალებში გაუელვა მძულვარების ცეცხლმა, მაგრამ ეს ცეცხლი ისევ მალე ჩააქრო ცრემლებმა. ელენემ საზარლად შეჰკივლა და დაეცა იატაკზე. იატაკზე დაცემულმა და გაშოტილმა ელენემ მწარედ დაიწყო კვნესა. ეს კვნესა ჩუმი და განუწყვეტელი ქვითინი იყო, გაბმულ ჩივილსა და დრტვინვას ჰგვანდა, ყრუ გმინვასა და ზუზუნს მოგაგონებდათ სა სიკვდილოდ დაჭრილის პირუტყვისას. ასე გეგონებოდათ, რომ ამ გულის მომწყვლელის ჩივილით უნდა გამოაცხადოს ყველა თავისი დარდი და ვარამი, რომელიც აქამდე გულში ჩაიკლა და დათრგუნაო. თუ ალფრედის წუხილმა და ცეცხლის მოკიდებამ გრძნობა კაცობისა გაუღვიძა არმანს, ამ მის წინ იატაკზე მკვნესარე ქალის წვამა და დაგვამ უფრო მეტის ძალით აალაპარაკა არმანში იგივე გრძნობა კაცობისა. არმანი დაეცა მუხლებზე ელენეს წინ და სცდილობდა ზეზე აეყენებინა ქალი.

„ელენე,—ამბობდა არმანი,—მოდი გონებაზედ... შემიცოდე, თუ ჩემი სიბრალული გაქვს, ნუ სტირი აგრე... ადექი...“ ელენემ შეისმინა არმანის ხვეწნა და ნელ-ნელა მიიქცია მისკენ თავისი თითქო წყლით გავსებული და სველი თვალები, თავისი ნახევრად გაპობილი ბაგენი. უზომო და განუსაზღვრელი მადლობა გამოესახა ელენეს მწარედ შეწუხებულს სახეზედ. არმანმა ჩასვა ელენე სავარძელში, თავად დაიჩოქა მის წინ და დაუწყო წმენდა მის ცრემლებს. მაშინ ელენემ კვლავ შესძლო და ხელ-ახლად დაიწყო ლაპარაკი.

— ოჰ!—სთქვა მან, — ყოველივე გათავდა, ყოველივე... გათავდა სამუდამოდ! შენ არ იცი არმან, რა რიგ მიყვარდი, რა რიგ მიყვარხარ... ოჰ! რად მოვიქმედე ის, რაც მოვიქმედე. აი, ჰხედავ... მე გიჟივით ვიყავი... აღარაფერი არ ვიცოდი და არ მახსოვდა... მე მარტო შენი სიყვარული ვიცოდი; შენ იყავ ჩემთვის ყოველივე... ჩემი რწმენა, ჩემი რჯული... ყოველივე, რაც-კი ჩემ სიკეთეთა და სიკეთილ-შობილეთ მიმაჩნდა... და უცებ კი ყოველივე ეს გაჰქრა ჩემთვის! მე ბევრი ვეწვალე და ვეწამე... სულ ყურებში ის შენი საშინელი სიტყვები მესმოდა და... ასე მეგონა, რომ გულში ხანჯლებს მიტრიალებენ-მეთქი. მე მინდოდა თავი დავიწყებისათვის მიმეცა, გულიდამ გადმეგდე შენცა... მინდოდა ყოველივე დამექცია და დამენელებინა... მე საცოდავმა, მე ბედკრულმა რა ვქენ, რა მოვიქმედე! რატომ არ მოვედი შენთან და არ შეგევედრე, რომ ხელ-მეორედ მიგელე და შეგეწყნარებინე, დაგეჯერა ჩემი ფიცი. მე ვიპოვიდი მაშინ სიტყვებს და დაგარწმუნებდი, დაგაჯერებდი, რომ მართალი ვიყავ. ახლა-კი ყოველივე გათავდა!.. ნუ მეკარები ახლოს, ნუ მოდიხარ... მე ჩემი თავი ახლა მევე მეჯავრება, მევე მძაგს... და ელენემ გაინთავისუფლა თავი და ხელი ჰკრა არმანს, თავიდამ მოიშორა. არმანი მიჰხვდა, რომ ელენეს თვალწინ დაუდგა ის... თავისი ახალი საყვარელი.

— არა! ჯალათო! ჯალათო! ეს შენი ბრალია... სწორედ შენი ბრალია. შენ მიმაღწევინე ამ დღემდე. განა შენ ნება გქონდა, რომ ისე მკარი ხელი და გადამისროლე?.. მიპასუხე! რა დავაშავე? როდის ჩავდექი შენს ღალატში და როდის რა ვიტყუე შენთანა? რად აიღე ჩემზედ ეჭვი... არა, ჩემო კარგო... შენ კეთილი ხარ, მშვიდი ხარ... მომიტევე... მაპატიევე.. დარდი და მწუხარება მკლავს!

ელენე არა სცხრებოდა და ამბობდა ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტს სიტყვებსა. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებდა,

ვენახის მოვლა და გაშენება უმთავრესი საქმეა აქაურებისა. ძვირად შეხვდებით იმისთანა გლეხს, რომ ხუთისა და ათის თუმნის ღვინო არ მოიჭარბოს და არ გაჰყიდოს წელიწადში. თუმცა სიმინდი და პური ამ სოფელში ნაკლებად მოდის, მაგრამ ღვინის მოსავალი კი, როგორც ვსთქვით, კარგი იცის. წლევანდელი წელიწადი-კი ღვინის მოსავლისათვის ცუდი წელიწადი იყო. როგორც ბევრგან სხვაგანაც საქართველოში, აქაც სიცივეები დაიჭირა წელს და ვაზები დააზიანა. ვენახები გაგვიფუჭა აგრეთვე კოხმა ანუ სეტყვამა და საშინელმა ნიაღვარმა. სიცივემ ისე გააფუჭა ვენახები, რომ წელს ნახევარიც არ მოგვივა იმისა, რაც წინად მოგვდიოდა ხოლმე.

საქარაში ირიცხება სულ ექვსასზე მეტი კომლი კაცი: ამათში უფრო ბევრნი არიან გლეხები, აზნაურნი და თავადნი-კი ცოტანი არიან. თითქმის თოთხმეტი წელიწადი არის, რაც ქვედა-საქარაში გამართულია სამრევლო სკოლა, ხოლო ზედა-საქარაში ეს ოთხი წელიწადი იქნება, რაც დაარსეს ამ გვარივე სკოლა; ამ სკოლებში სწავლობენ როგორც გლეხ-კაცის შვილები, ეგრეთვე აზნაურებისა და თავადებისაც. ძვირად ჰნახავთ ამ სოფელში იმისთანა ყმაწვილს, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდეს თავის დედა-ენაზედ. ზემოხსენებულის სკოლის მასწავლებელნი ბ-ნი ფ. ბ—ქაძე და ს. ქ—შვილი ღარიბ გლეხების შვილებს ასწავლიან უფასოდ, ხოლო მდიდრებისაგან იღებენ ორითგან ოთხ მანეთამდე სწავლის ფასს წელიწადში. ეს მასწავლებელნი ასწავლიან ყმაწვილებს თავიანთ სახლებში, თავიანთივე მოწყობილობა აქვთ სკოლისათვის და ამასთანავე ძლიერ გულმოდგინენიც არიან.

ი. ნ. ბარბაქაძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ჟამად რუსეთში კომისიაა შემდგარი და ამ კომისიას მინდობილი აქვს, რომ განიხილოს საბაშპორტო წესები და, თუ შესაძლებელია, გამოსცვალოს ისე, რომ მკვიდრთა შეღავათი მიეცეთ.

გაზ. „Русск. Вѣд.“-ს არ მოსწონს ეხლანდელი მკაცრი წესები ბაშპორტისა და რამდენიმე მაგალითი მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლად.

> ეხლანდელის კანონითაო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, თუ პოლიციამ იპოვნა რომელსამე ქალაქში ისეთი კაცი, რომელიც კარგა ხანია, სახელდობრ, ათი-თორმეტი წელიწადი დასახლებულია ერთს რომელსამე ქალაქში და ბაშპორტი კი არა აქვს, უნდა „ეტაპით“ უწინდელს ბინაზედ გაჰგზავნოს.

ეს კანონი არ მოსწონს გაზეთს და აი ამის წინააღმდეგ რა მაგალითი მოჰყავს:

> 1879 წელს ოდესაში ერთ სულთმობრძავ მოხუცებულს დედა-კაცს სახლში არავინ უშვებდა იმის გამო, რომ ბაშპორტი არა ჰქონდა, თუმცა ძალიან დიდი ხანი სცხოვრებდა ოდესაში და უვცობით ოდესის საზოგადოებაში არ იყო მიწერილი. საბრალო დედა-კაცმა ქუჩაში დალია სული.

გაზეთის აზრით, თუ აღმოჩნდა, რომ ესა-და-ეს კაცი უბაშპორტოდა სცხოვრობს სხვა ქალაქში, უმჯობესი იქნება, რომ პოლიციამ რამდენსამე ხანს თვალ-ყური ადევნოს და თუ დამტკიცდა, რომ ეს კაცი რიგიანს ცხოვრებას ატარებს და არავის არაფერს არ უშლის, პოლიციამ თვითონ მისცეს ამ გვარ კაცს დროებითი ბაშპორტი და დაავალოს, რომ შენის სამუდამო საცხოვრებელ ადგილითგან აქ საცხოვრებლად ქაღალდი მოითხოვეო.

> ორივეს ერთ-გვარადა სჯის ეხლანდელი კანონი: იმისთანა უბაშპორტოსაც, რომელიც ავაზაკია, უქმად დახეტიალობს, რამდენჯერმე ქურდობისათვის ციხეში მჯდარა და იმისთანასაც, რომელიც პატიოსანი კაცია და თავის სამშობლო ადგილს მოშორებია მარტო იმიტომ, რომ ლუკმა პური იშოვნოს და რომელსამე საქმეს დაადგესო.

თუ პოლიციამ, ამბობს იგივე გაზეთი, რომელიმე უბაშპორტო ავაზაკი დაიჭირა, სხვა ქალაქში, გამოიძია და შეიტყო, რომ ეს ავაზაკი კანონს გამოჰქცევიაო, ის არა სჯობია, რომ იქვე დასაჯოს, სადაც დაიჭირა, თავის სამუდამო საცხოვრებელ ადგილას გაგზავნას? არ ესმის კაცსა, რათა ჰგზავნიან მისდა სამუდამო საცხოვრებელ ადგილს? ნუ თუ იმიტომ, რომ ავაზაკი ხარ და საითგანაც მოსულხარ, იქავ წადიო?

> იქნება ამით ის უნდათ, რომ ავაზაკი კაცი იმ ქალაქს მოაშორონ, სადაც უბაშპორტოდ დაბინავებულა? მაგრამ რომ ესეც ტყუილი თავი-ტკენაა და მეტი ხარჯი, აი ამის დამამტკიცებელი: ვსთქვათ, რომ ვოლინითგან გამოქცეული ავაზაკი ვორონეჟში დაიჭირეს და ისევ ვოლინში გაჰგზავნეს; ამავე დროს ვორონეჟელი ავაზაკი ვოლინში იპოვნეს და ვორონეჟში გაისტუმრეს „ეტაპით“. რა გამოვიდა? ვორონეჟმა და ვოლინმა ერთმანერთს ავაზაკები გაუცვალეს და მაინც არც ერთ ქალაქს ავაზაკთა რიცხვი არც მოჰმატებია და არც დაჰკლებია, იმდენივე ჰყავთ, რამდენიც ჰყავდათ.

რა სარგებლობა ჰნახეს ამ «ეტაპით» გაგზავნითაო, კითხულობს გაზეთი; მხოლოდ ტყუილად ხარჯი მოუვიდათო. თუ უნდათ, რომ ავაზაკი, სახელ-გატეხილი კაცი მოაშორონ პატიოსანს საზოგადოებას, მთელი სახელმწიფო ორ ნაწილად გაჰყონ, ერთი ავაზაკებისთვის, სახელ-გატეხილ კაცებისათვის და მეორე პატიოსნებისათვის. თუ პატიოსნებში ვინმემ ავაზაკობა ჩაიდინოს, ავაზაკებში გაჰგზავნონო. აი მარტო ამ სასაცილო აზრს გამოჰნახავს კაცი, რომ დაუფიქრდეს ამ უბრალოდ გაგზავნ გამოგზავნის კანონსაო, სამართლიანად ამბობს დასასრულ გაზეთი.

⁂

გაზ. „Новое Время“-ს ერთი თანამშრომელი ბ-ნი „Дяденька“ ამას წინად თეატრში ოპერის „რუსლანის“ თამაშობას დასწრებია და აღტაცებაში მოსულა ამ ოპერის შინაარსით; იმ ოპერის შინაარსით, რომელიც აქამდის არავის მოსწონდა, რომლის წარმოდგენაზედ არავინ დაიარებოდა და ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ „რუსლანი“ უშინაარსო ოპერაა, ნამდვილი ცხოვრება არ არის შიგ გამოხატული და უფრო არაკსა ჰგავსო.

აი როგორა ჰხსნის ამ ოპერის შინაარს ბ-ნი „Дяденька“:

> რა უფრო ჰსურს ეხლა რუსეთსაო? შავის ზღვის დაჭერა. ვის წინააღმდეგ იბრძვის? ოსმალეთის წინააღმდეგ. ჩერნომორი ოსმალეთია, რუსეთი—რუსლანი და ლიუდმილა კი სლავიანები. ჩერნოგორს ლიუდმილა შეუპყრია და რუსლანი ანთავისუფლებს. ნაინა ინგლისია; ფარლაფი ავსტრია. ფარლაფს უნდა ნაინას შემწეობით ლიუდმილა ხელში ჩაიგდოს. მაშ ჩვენი კეთილის-მყოფელი ფინნი ვიღაა, რომელიც ნაინას ყველაფერში ხელს უცარავს? ფინნი ჩვენი ბედია, ისტორია, მხსნელი ანგელოზია. მაშ რატმირი და გორისლავა ვილანი არიან? რატმირი საფრანგეთია და გორისლავა-კი ელზას-ლოტარინგია. რატმირი რუსლანს ჰმტრობს და ამიტომ გორისლავასა ჰკარგავს... ამ დროს ლიუდმილას ჯერ კიდევ სძინავს, ვერ გაუღვიძებიათ...

არ გვაკვირვებს გაზ. „Новое Время“-ს თანამშრომელის ასეთი ღრუბლებში ფრენა; ამ ჟამად ისეა ყველა პოლიტიკაზედ შეშლილი, რომ საკვირველი არ არის, კაცს რაც აგონდება, ის ეზმანებოდეს.

უცხოეთი

ბოლგარია. ტირნოვოში კომედია დაიწყოვო, ასე იწყობს გაზ. „Новости“ თავის მეთაურს წერილს. ჩვენ გვაუწყებენ, რომ ეს კომედია ხან-გრძლივი არ იქნება და ჩვენცა გვჯერა ესაო. დიმჯარის ჭკუითაც რომ განსაჯოს კაცმა, ძნელად გამოსაცნობია, რისთვის მოგროვილან ბოლგარიის კანონ-მდებელნი ტირნოვოში. მთავარს რომ ვერ ამოირჩევენ, ამას თქმა არ უნდა, რადგან რუსეთი და ოსმალეთი წინააღმდეგნი არიან ამისა. თუ გააკეთებენ რასმე საქმეს, უთუოდ იმას, რომ კარავგელოვს დაითხოვენ სამსახურისაგან, კარავგელოვს, რომელსაც თავის ამხანაგებთან რაღაცა კინკლაობა მოსვლია, და იმის მაგიერ რომელსამე სხვას ამოირჩევენ, უსათუოდ კი როდოსლავოვს. შეიძლება, ამ კრებამ კიდევ რამე ჩაიდინოს რუსეთის საწინააღმდეგო, ესეთი საქციელი საკვირველი არ არის კრებისაგან, რადგან მთელი კრება თითქმის სტამბულოვის მომხრეთაგან არის შედგენილიო. კრება ვერ შეიძლებს, რომ სტამბულოვის რეგენტობა კანონიერად იცნოს, რადგან ეს ბოლგარიის კონსტიტუციის წინააღმდეგი იქმნებაო. ვერც პრინც ალექსანდრს ამოირჩევს ისევ მთავრად, რადგან თვითონ

რა ცეცხლი ჰბრუნავდა მის გულში. გულის წყრომასა და შეჩვენების სიტყვებს თან მოსდევდა სიტყვები ალერსისა და დატკბობისა. ბოლოს, ელენეს განწირულებაც დასცხრა და მან ძლივს წარმოსთქვა: «ნუ დამიშლი, მინდა პატარა ხანს ვიტირო... ცრემლი შვებას მაძლევს... ნუ დამელაპარაკები... ეხლავ გავათავებ..» და არმანმაც დასტოვა ელენე მარტო. ოჰ, რა უძლური და სუსტი იყო არმანი ამ განწირულის სულის კვეთების წინაშე! არმანმა დაიწყო ბოლთის ცემა ოთახში, რომლის ფანჯრებშიც ქურდულად იპარებოდა ბინდ-ბუნდი საღამოს ჟამისა... ქვითინი ელენესი მეტად სუსტი და ჩუმი იყო, თითქო პატარა ქალი ისკვნის გულსაო... არმანი აღარა სცდილობდა ახლა ნუგეში ეცა ელენესათვის და აღარც იმასა სცდილობდა, რომ ეჭვი აელო იმაზე, რაც თვალ-და-თვალ ცხადად დასანახავი შეიქმნა მისთვის. ამიერითგან ნდობა და რწმენა ნათელის სხივივით გულს ჩაეფინა სამუდამოდ. ის ფიქრი, რომ ასეთის გულ-ქვავის უსამართლობით მოიქცა, ის საზარელი აზრი, რომ კვალ-ამოუშლელი მწიკვლი მოსცხო უმანკო ადამიანს და თვით სიბრალული ელენეს სულის წვისა და წამების გამო, ნაკუწ-ნაკუწ უგლეჯდა არმანს გულსა; მაგრამ ყველაზე მეტად კიდევ სხვა რამე სჩაგრავდა და ჰღრღნიდა არმანის არსებას. არმანი ჰგრძნობდა, რომ მის სინიდისს დაედო საშინელი პასუხის გება ამ ქალის აღრე და მალე დაღუპვისა და დაწყლულებისათვის. მით უფრო სამძიმო იყო არმანისათვის ეს პასუხის-გება, რომ ჰგრძნობდა, ჩემ თავს თავის დღეში ვერ მოვაშორებ ამ სინიდისის ქენჯნასა და მხილებასაო.

როგორ! განა იმიტომ რომ ელენემ მე გამიცნო და შემიყვარა, ასეთი სირცხვილი უნდა რგებოდა ხვედრად! ელენე არ მოატყუა წინად-გრძნობამა; ახლა-კი არმანის ეჭვები სრულიად განქრა და გაიბნა. არმანს ეხლა სჯეროდა ყოველივე, რაც უნდა ეთქვა ელენეს. სჯეროდა, რომ, ვიდრე არმანს გაიცნობდა, ელენე წმინდა იყო, სჯეროდა, რომ ელენეს მართლა ეყვარდიო. სჯეროდა ისიც, რომ განწირულებამ ჩააგდო სხვის ხელში ელენე და რომ თვით მე, არმანი ვიყავი ამის მიზეზიო, რაკი ისე უღირსად დავანებე ამ ქალს თავიო. არმანი კვლავ სცემდა ბოლთას ოთახში და ყოველთვის, როცა კი ოთახის ბოლოში გავიდოდა და მოტრიალდებოდა უკან, ორ ფანჯარას შუა ჰხედავდა ელენეს გაყვითლებულს სახეს, რომელიც ბინდ-ბუნდში მოეჩვენებოდა ხოლმე... სად წარვიდა, სად გაჰქრა განა ამ კაცის გულ-გრილობა, ის ძლიერი ძალა უარ-ყოფისა? მომაკვდავს პირში აღარ შევბმიან ხოლმე,—არმანიც ეხლა სწორედ სულის სიკვდილს დასცქეროდა. ელენემ მართალი სთქვაო, ამბობდა თავის თავად არმანი:—იმას არა უნდოდა-რა, არას არ ითხოვდაო. ელენეს მხოლოდ ისა ჰსუროდა, რომ გადეხსნა ჩემ წინ თავისი გულიო. ელენემ მართლა გადუხსნა არმანს თავისი გული და იმანაც დაინახა ეს გული, დაინახა სისხლიცა. ეს სისხლი სწვეთავდა იმ ჭრილობიდამ, რომლის მიზეზიც თვით იგი, თვით არმანივე იყო.

კიდევ ბევრს ხანს იყვნენ ორივენი ასეთს ყოფაში ერთმანერთისთვის ხმა არ გაუციათ; არმანი ბოლთასა სცემდა ოთახში და ელენე-კი სტიროდა. ბოლოს არმანი მივიდა ელენესთან და ხელი გამოართვა. არმანი გაქრქოლდა და ციემა ოფლმა დაასხა, როცა შენიშნა, რომ ელენეს ხელი სველი და გაციებული ჰქონდა; და როცა მიიტანა ეს ხელი ტუჩებთან საკოცნელად, თვალთაგან ცრემლები წამოსცვივდა... ეს ცრემლები პირველი ცრემლები იყო, ვინ იცის, რამდენის ხნის აქეთ. ელენეს გულში, ამ განწირულებისა და სულის კვეთებისაგან წამებულს გულში, კიდევ შერჩენოდა გრძნობა სიბრალულისა. ელენეს მაინც კიდევ გული დაეთუთქა, ეს ცრემლები რომ დაინახა თავის მტარვალისა და თავის ჯალათისა. „ნუ სტირი“,—სთქვა მან; და გაუწოდა ხელი, მიიკრა გულში და დაუწყო კოცნა გაგიჟებულივით. არმანი ჰგრძნობდა, რომ ცეცხლივით მწვავე ტუჩები სწვავდა მის შუბლს, მის თვალებს. მერე ელენე წამოდგა. მან ერთხელ კიდევ დაინახა თავის თვალწინ ის..

— ვაიმე და ვაგლახმე! შეჰკივლა ელენემ გულის გამგმირავის ხმით,—მე ისიც-კი აღარ შემიძლიან, რომ ნუგეში გცეო... მშვიდობით, მშვიდობით... სთქვა მან კიდევ,—და ახლა-კი სამუდამოდ!..ელენემ ხელი გადაუსვა არმანს თმაზე, სახეზე, თითქო იმიტომაო, დავრწმუნდე, რომ ისევ არსებობს ეს ჩემთვის ძვირფასი, საყვარელი სახეო და საჩქაროდ გაირბინა კარებისაკენ.

— სად მიხვალ?—ჰკითხა არმანმა ელენეს.

— მე მინდა შენ გაგექცე, შენ მოგშორდე მალე,—სთქვა გონებადაპნეულმა ელენემ და უკვე გაიხურა კარები. ძალა აღარა ჰქონდა არმანს, რომ გამოსდევნებოდა უკან და იდგა გაშტერებული იმავ ადგილსვე, სადაც ელენემ დასტოვა, იდგა ისე, თითქო დამბლა დაეცაო. უცებ თავში დაჰკრა უცნაურმა ზარმა და ფეხებამდე ციემა ჟრუანტელმა გაუარა... უეცარმა შიშმა შეიპყრა არმანი: რაღა ვქნა, ვაი თუ განწირულებით სავსე ელენე, იმიტომ გაიქცა ჩემგან, რომ თავის მოკვლა განიზრახაო? ერთის წუთის განმავლობაში არმანი ლანდებში გავბა: თვალ-წინ წარმოუდგა სიბნელე წყლის პირის ქუჩისა... ფართო, მღელვარე ზედა-პირი მდინარისა და ქალის სურათი, რომელიც ვითომ კიდეც შთანთქა ამ ციემა და ბნელმა ზვირთებმა. მაშინ არმანმაც გადადგა ფეხი და გაიქცა კარებისკენ. ჩამოირბინა კიბე უცბად: ოთხს-ოთხს საფეხურზე ერთის ნაბიჯითა ჰხტებოდა ძირს. ქალი მიდიოდა ბულვარ-ბულვარ ელისოს მინდვრებისკენ. არმანი გამოეკიდა ამ ქალს. მიეწია, მაგრამ ეს ქალი ელენე არ გამოდგა. არმანი გამოვიდა დიდსა და ფართო ქუჩაზე, სადაც ჭიაჭველებსავით ირეოდნენ გამვლელ-გამომვლელნი, ძლივს ერთმანერთს გზას უქცევდნენ ეტლნი. როგორ ვიპოვო ელენე ამ არეულს ხალხშიო? როგორ შევიტყო, საითკენ წავიდა ის ბედკრულიო. წვიმა ისე მოდიოდა, თითქო საცერში იცრებაო. ამაოდ უხმობდა ეტლს. ეტლი მხოლოდ მეიდანზე ძლივს იპოვა. უბრძანა, გასწი ლაროშფუკოს ქუჩაშიო. გზაში არმანიც ისეთს მდგომარეობაში იყო, თითქო ეს-ეს არის გავგიჟდებიო. მაგრამ აი ბოლოს მიუახლოვდა ნაცნობს პატარა სახლს. გულის ფანცქალით მიუახლოვდა კარებს, ჩამოჰკრა ზარი და ჰკითხა მოსამსახურეს,—დაბრუნდა თუ არა ქ-ბ-ნი შაზელიო? როცა მოსამსახურემ უთხრა: დიახ, გიახლათო, არმანი კინაღამ წაიქცა მეტის-მეტის მღელვარებისა და გულის ჩქროლვისაგან. მოსამსახურემ გზა დაუცალა არმანს: ეგონა სახლში შემოვაო. მაგრამ როგორ ავიტანო ეხლა ელენესა და ალფრედის ცქერაო? გაიფიქრა არმანმა. იგრძნო თავისი უხერხული მდგომარეობა და ძლივს წაილუღლუღა, საღამოზედ მოვალო, სრულიად გადამავიწყდა, რომ ერთს ალაგას უნდა შევბრუნებულიყავიო... ჩაჯდა საჩქაროზედ ეტლში და ასე გაიფიქრა: „შვილის სიყვარულმა დაიფარა უთუოდ ელენეო. მადლობა ღმერთსა, რომ კაცის-მკვლელი მაინც არ გავხდიო!“

გრ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

ალექსანდრე ბატტენბერგს უარი უთქვამს მთავრად ამორჩევაზედ. თუ ვიფიქრებთ, რომ ბოლგარიის მართვისთვის საჭირო ფულს მისცემს კრება სტამბულოვს,—ვერც ამას შეიძლებს, რადგან ფულის მხრივ ძალიანა კოჭლობს ამ ჟამად ბოლგარიის ხაზინა. ერთის სიტყვით, ეხლანდელი დიდი საერო კრება კომედიაა და სხვა არაფერიო.

დიდი საერო კრება ტირნოვოში შეიყარა თუ არა, გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ ბოლგარიის საქმის გამო დიდი დიპლომატებური მოლაპარაკება აქვთ დიდთა სახელმწიფოთა ერთმანერთშიო. ამბობენ, რომ ევროპას განზრახვა აქვს ჩაერიოს და როგორმე მოაწყოს ეს საქმეო. გერმანიის მეთაურობით დიდნი სახელმწიფონი რუსეთს ურჩევენ, რომ კანდიდატი ამოირჩიე ბოლგარიისთვისაო. რუსეთს არა სურს ჯარები ჩააყენოს ბოლგარიაში, სტამბულოვი ისე არა რიგდება, ყველაფერში ხელს უცარავს რუსეთსა და აი დიდნი სახელმწიფონი ჩარეულან შიგ, რომ როგორმე მოარიგონ რუსეთი და ბოლგარია ერთმანერთშიო. ეტყობა, თავადს ბისმარკს მოუწადინებია შუა-კაცობა აღმოსავლეთის საქმეში.

ხოლო შუა-კაცობა უსასყიდლოდ, დაუსაჩუქრებლად არ გაგონილა. მაშ რა გვარს სასყიდელს გამოელის ამ საქმითგან თავადი ბისმარკი? ზოგიერთნი ამის გამო იმას ამტკიცებენ, რომ ბისმარკს მარტო ის უნდა, რომ ევროპის მშვიდობიანობა არ დაირღვესო.

ამისთანა სასყიდელის წინააღმდეგი, რასაკვირველია, არავინ იქმნება; პირიქით, რუსეთიც არის მოწადინებული, რომ ევროპის მშვიდობიანობა არ დაირღვეს. ხოლო როგორ უნდა ჩამოვარდეს ეს მშვიდობიანობა? ამ ჟამად რუსეთისა და ბოლგარიის შორის ისეთი დამოკიდებულება არსებობს, რომ რუსეთი თუ ამოირჩევს კანდიდატს ბოლგარიისას, თავის ერთგულსა და მომხრე კაცს ამოირჩევსო და ამ გვარის კანდიდატის წინააღმდეგი ინგლისი იქმნება და ინგლისის მიერ მოწონებულს კანდიდატს კიდევ რუსეთი არ მოიწონებსო. დიდნი სახელმწიფონი სიტყვით სხვას ამბობენ და საქმით სხვასაო. ისინი რომ მშვიდობიანობის გულ-წრფელად მოსურნენი იყვნენ, აქამდინ ჩააგონებდნენ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას, თავი დაანებე რუსეთის წინააღმდეგობასაო. პირ-იქით, ინგლისი, ავსტრია და გერმანიაც ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას აქეზებენ და ფარულად სარჩლს უწევენო. საკმაოა კაცმა იმას ადევნოს თვალყური, რა ამბებიც ხდება ამ ჟამად ვარნაში, რომ გაიგოს, თუ როგორ გამწვავებულია ბოლგარიის საქმე. რუსეთმა ბოლგარიაში სამხედრო გემები გააგზავნა ჯარით რუსეთის ქვეშევრდომების სარჩლისათვისაო. ეხლა, როდესაც ბოლგარიის საქმე ასეთს გაჭირებულს ყოფაშია ნუ თუ შესაძლებელია, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვესო?

დეპეშა

29 ოქტომბერი

ბუქარესტი. დღეს შუადღისას გამოცხადდა შემდეგი დეპეშა ხელ-მოწერილი რუშჩუკის პრეფექტის მიერ: «11 საათზე დიდმა საერო კრებამ ერთ ხმად ამოარჩია ბოლგარიის მთავრად დანიის პრინცი ვოლდემარი. კრებამ ამოარჩია აგრეთვე დეპუტაცია, რომელიც წავა ახალ მთავართან, მიულოცავს მთავრად ამორჩევასა და ჩააბარებს თვით ამორჩევის ოქმსაცა.

30 ოქტომბერს.

ტირნოვო. პრინც ვოლდემარის ბოლგარიის მთავრად ამორჩევის წინა დღეს, საიდუმლოდ კრება იყო. ამ კრებაზე სტამბულოვმა წარმოსთქვა სიტყვა და ამტკიცებდა, რომ პრინც ალექსანდრე ბატენბერგის ხელმეორედ ამორჩევა შეუძლებელიაო. ამასთან პრინც ვოლდემარს ის უპირატესობა აქვს, რომ ნათესავია რუსეთისა, ინგლისისა და საბერძნეთის სამეფო გვარეულობისაო. სტამბულოვმა ისიც არ დაუმალა კრებასა, რომ რუსეთი, შესაძლოა, უარს იტყვის და არ შეიწყნარებს არჩევანსაო, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი უნდა ვსთქვათო, მით უფრო, რომ პრინც ვოლდემარის სახელი იმის დასამტკიცებელი საბუთი იქნება, რომ ბოლგარიის მმართველებს და კრებას შერიგება ჰსურსო. თუ პრინცი ვოლდემარი უარსა ჰყოფს ბოლგარიის ტახტსა, მაშინ საქმეთა გარემოების შესაფერი ღონისძიება უნდა ვიხმაროთო. დეპუტაცია, რომელმაც პრინც ვოლდემარს უნდა გარდასცეს ამორჩევის ოქმი უკვე შედგენილია და მიდის კანაში, სადაც დღეს პრინცი იმყოფება.

კარაველოვმა სამსახურს თავი დაანება.

ლონდონი. ლორდ-მერის წვეულებაზე სალისბერიმ სიტყვა წარმოსთქვა და ბოლგარიის საქმეების შესახებ გამოაცხადა, რომ ეს საქმე ინგლისის ინტერესებს არ შეჰხებიაო, და თუ შეეხება, ინგლისი შესძლებს თავისი ინტერესები დაიცვას; სხვა სახელმწიფოებზე უწინ რომ მოქმედება რამე დავიწყოთ, ეს ჩვენთვის სასარგებლო არ იქნებაო. ეგვიპტის შესახებ სალისბერიმ სთქვა: ინგლისს არ შეუძლიან ეგვიპტეს თავი დაანებოს, ვიდრე ისეთ მდგომარეობაში არ მოიყვანოს, რომ სხვა ქვეყნების პოლიტიკის შიში აღარა ჰქონდეს, და აგრეთვე, ვიდრე თვით ეგვიპტის შინაურ საქმეებში უწესობას არ მოსპობს. სალისბერიმ თავისი სიტყვა ასე გაათავა: მე დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა და ჩქარა ვაჭრობას და მრეწველობასაც მეტი სიცოცხლე მიეცემაო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჩო=478 წლის. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

ოქტომბერი 31 დღით არის.

31 დღე პარასკევი. წმ. მოციქ. სტაქოსი და ლირსისა სპირიდონისა. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—18. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 4—43; მთვარე ამოდის 5—49, ჩადის 6—42.

ნოემბერი 30 დღით არის.

1 დღე შაბათი. წმ. კოსმან და დამიანე. კათოლ. დღესასწაული ყველა წმინდანთა. სომეხ. ყოველთა წმიდათა, ძველთა და ახალთა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—26. ტფილისში მზე ამოდის 6—47, ჩადის 4—42; მთვარე ამოდის 6—32, ჩადის 7—43.

2 დღე კვირა. აკინდიანესი და ელპიდიფორისა და სხ. სომეხ. მე-8 კვირა ამაღლებიდგან (ქორწინების ნება ეძლევათ). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—36. ტფილისში მზე ამოდის 6—48, ჩადის 4—41; მთვარე ამოდის 7—22, ჩადის 8—43.

3 დღე ორშაბათი წმ. მოწ. აკეპსიმე. განახლება ტაძრისა წმ. დიდის მოწამ. გიორგისა. კათოლ. ეპისკ. გუბერტისა და მალახიასი. სომეხ. წმ. სტეფანესი, რომთა მამა მთავარ. და მღვდელთა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—46. ტფილისში მზე ამოდის 6—49, ჩადის 4—40; მთვარე ამოდის 8—17, ჩადის 9—40.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› › 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

პეტერბურგის ბირჟა, 28-ს ოქტომბერს 1886 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანეთიანი ოქრო	—	—	8 მ. 63 კ.
ტამოჟნის კუპონები.	—	—	167¼ მან.
5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთი	—	—	239 მან.
— მეორისა	—	—	221 მან.
გირავნობის ფურცლები:			
ტფილისის ბანკისა	—	97 მან	—
ქუთაისის ბანკისა	—	97 მან.	—

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	**ყვირილა** .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	**ხაშური** . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	**გორი** . . .	7	59	8	9
ნიგოითი. .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები. .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	**ტფილისი** .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	**ხაშური** . .	2	47	3	2
მცხეთა. .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . .	5	20	5	25	**გორი** . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	**ტფილისი** .	8	24	—	—

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ქუთაისში, ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში

ქართული წერის დედანი

ვ. გაბიჩვაძისა

ფასი 30 კაპ. ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეგზემპლიარს იყიდის, ეგზემპლიარი 24 კაპ. დაეთმობა და გაეგზავნება. (3—2)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, სათავადაზნაურო ბანკის ქვეშ, არწრუნისეულ სახლებში (подъ помѣщеніемъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго банка) ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და სადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—23)

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ქართული ქრისტომატია“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირდაპირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ 30 октября, 1886 года. ხტამბა გ. მედიქაშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე